დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

ხელშეკრულება №97

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

23 დეკემბერი 2011 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის გიორგი შონვაძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია 4 კომპლექტი პერსონალური კომპიუტერისა და 1 ერთეული კომბინირებული პრინტერის (HP Color LaserJet CE861A) შესყიდვა. პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური მახასიათებლებია: Monitor Dell U2312H LCD, PS.VD9E9.002 Veriton VM2610 Intel core i3 2100 (3M Cache, 3.10HGz), 3GB DDR3,500GB HDD,DVD Super Multi,USB Keyboard+Mouse, UPS

1.2. შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი: 30213300–მაგიდის კომპიუტერები და 30232130 - ფერადი პრინტერები);

1.3. შესყიდვა ხორციელდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საჭიროებისათვის

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2. ერთი კომპლექტი პერსონალური კომპიუტერის ღირებულება შეადგენს 1309 ლარს, ხოლო ოთხი კომპლექტის შესაბამისად 5236 ლარს. ერთი ერთეული კომბინირებული პრინტერის ღირებულება შეადგენს 733 ლარს. შესაბამისად ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5969 (ხუთი ათას ცხრაას სამოცდა ცხრა ლარი) ლარს** კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (მათ შორის დღგ).

3. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და დრო

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2011 წლის 26 დეკემბრისა;

3.2. საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.2. „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
4.3. „მიმწოდებლის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხორციელდება ლარებში.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 4 დღის განმავლობაში;
5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

6. საგარანტიო პირობები და ვადები

6.1. „მიმწოდებელი“ მიწოდებულ საქონელზე (კომბინირებული პრინტერი და კომპიუტერი) ავრცელებს გარანტიას 1 (ერთი) წლის ვადით, ხოლო მონიტორზე 3 (სამი) წლის ვადით.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრული რაოდენობის საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დაღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომიტ, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიულ ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებლის" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

10.3. საქართველოს სამოქალარო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გადორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 1 (ერთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.3. „დამკვეთის“ მხრიდან 5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 4 (ოთხი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
16.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;
16.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო"
ქ. თბილისი, გულუას ქ.№6
ტელ: 995 32 2752352
ს/კ: 204911337
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 220101222
ა/ა № 200122900

_____

გიორგი შონვაძე

თავმჯდომარე

„შემსრულებელი"

შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი"
ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 8
ს/კ: 202052054
ს.ს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: 220101922
ა/ა №4101467822

_____

ვაჟა ნასყიდაშვილი

დირექტორი